ორიგინალი ვერსია იხილეთ ბმულზე

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსებულ

ევროკავშირის კანონმდებლობის აქტების ქართულენოვან ვერსიებს

არ გააჩნია ოფიციალური იურიდიული ძალა

საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის დირექტივა 2011/64/EU

წარმოებული თამბაქოს მიმართ გამოყენებული აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ

(კოდირება)

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, ამ ხელშეკრულების113-ე მუხლს,

ითვალისწინებენ რა ევროკომისიის წინადადებას,

საკანონმდებლო აქტის პროექტის წევრი ქვეყნების პარლამენტებისთვის გადაცემის შემდეგ,

ითვალისწინებენ რა ევროპარლამენტის მოსაზრებას,

ითვალისწინებენ რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას,

მოქმედებენ რა სპეციალური საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად,

ვინაიდან:

1. სიგარეტებზე გადასახადების დაახლოების შესახებ საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის დირექტივაში 92/79/EEC[1], წარმოებულ თამბაქოზე, გარდა სიგარეტებისა, გადასახადების დაახლოების შესახებ საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის დირექტივაში 92/80/EEC[2] და გადასახადების შესახებ, გარდა დასაბეგრი ბრუნვის გადასახადებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოებული თამბაქოს მოხმარებაზე, საბჭოს 1995 წლის 27 ნოემბრის დირექტივაში[3] 95/59/EC, რამდენჯერმე შევიდა არსებითი შესწორებები[4]. სიცხადისა და რაციონალურობის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული დირექტივების კოდირება მათი ერთ აქტში თავმოყრის გზით.

2. ევროკავშირის ფისკალურმა კანონმდებლობამ თამბაქოს პროდუქტების შესახებ უნდა უზრუნველყოს შიდა ბაზრის ჯეროვანი ფუნქციონირება და ამავე დროს, ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე, როგორც ამას მოითხოვს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 168-ე მუხლი, იმის გათვალისწინებით, რომ თამბაქოს პროდუქტებს შეუძლიათ სერიოზულად დააზიანონ ჯანმრთელობა და რომ ევროკავშირი წარმოადგენს თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის (FCTC) მხარეს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის სიტუაცია, რომელიც ვრცელდება წარმოებული თამბაქოს ნაირსახეობის თითოეულ ტიპზე.

3. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთი მიზანია საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნა, რომლის მახასიათებლები იგივეა, რაც იმ შიდა ბაზრის მახასიათებლები, რომელშიც ჯანსაღი კონკურენციაა. წარმოებულ თამბაქოსთან მიმართებით, ამ მიზნის მიღწევის წინაპირობაა, რომ წევრ ქვეყნებში იმ გადასახადების გამოყენებამ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ სექტორში პროდუქტების მოხმარებაზე, არ შელახოს კონკურენციის პირობები და ხელი არ შეუშალოს ევროკავშირის ფარგლებში მათ თავისუფალ მიმოქცევას.

4. უნდა განიმარტოს წარმოებული თამბაქოს ნაირსახეობის სხვადასხვა ტიპი, რომლებიც განსხვავდება მათი მახასიათებლებისა და გამოყენების მეთოდის მიხედვით.

5. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სიგარეტების დასახვევად გამოყენებული დაკუწული თამბაქო და სხვა მოსაწევი თამბაქო.

6. თამბაქოს ის გრაგნილები, რომელთა მოწევაც შესაძლებელია მარტივი დამუშავების შემდეგ, აგრეთვე მიჩნეულ უნდა იქნენ სიგარეტებად, ამ პროდუქტების თანაბარი დაბეგვრის მიზნებისთვის.

7. მწარმოებელი უნდა განისაზღვროს, როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეალურად ამზადებს თამბაქოს პროდუქტებს და აწესებს მაქსიმალურ საცალო სარეალიზაციო ფასს თითოეული იმ წევრი სახელმწიფოსთვის, რომლისთვისაც შესაბამისი პროდუქტები გაშვებულ უნდა იქნეს მოხმარებაში.

8. თანაბარი და სამართლიანი დაბეგვრის ინტერესებიდან გამომდინარე, სიგარეტები, სიგარები და სიგარილოები და სხვა მოსაწევი თამბაქო ისე უნდა განიმარტოს, რომ შესაბამისად, თამბაქოს ის გრაგნილები, რომლებიც, მათი სიგრძის

მიხედვით, შეიძლება მიჩნეულ იქნას ორ ან მეტ სიგარეტად, აქციზის მიზნებისთვის ჩაითვალოს ორ ან მეტ სიგარეტად; სიგარის ის ტიპი, რომელიც მრავალმხრივ ჰგავს სიგარეტს, აქციზის მიზნებისთვის ჩაითვალოს სიგარეტად; მოსაწევი თამბაქო, რომელიც მრავალმხრივ ჰგავს დაკუწულ თამბაქოს და რომელიც გამიზნულია სიგარეტების დასახვევად, აქციზის მიზნებისთვის ჩაითვალოს დაკუწულ თამბაქოდ, ხოლო თამბაქოს ნარჩენები მკაფიოდ იქნეს განმარტებული. იმ ეკონომიკური სირთულეების გათვალისწინებით, რომელთა დაუყოვნებლივმა განხორციელებამ შეიძლება შეუქმნას შესაბამის გერმანელ და უნგრელ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს, გერმანიასა და უნგრეთს უნდა მიეცეთ უფლებამოსილება, გადაავადონ სიგარებისა და სიგარილოების განმარტების გამოყენება 2015 წლის 1 იანვრამდე.

9. რამდენადაც საქმე ეხება აქციზის გადასახადებს, სტრუქტურათა ჰარმონიზაციას, კონკრეტულად, შედეგად უნდა მოჰყვეს კონკურენცია ერთსა და იმავე ჯგუფში შემავალი წარმოებული თამბაქოს განსხვავებულ კატეგორიებს შორის, რომლებიც არ შელახულა გადასახადის დაწესებით და შესაბამისად, უნდა გამოიწვიოს წევრ სახელმწიფოებში ადგილობრივი ბაზრების გახსნა.

10. კონკურენციის უმნიშვნელოვანესი საჭიროებები გულისხმობს თავისუფლად ფორმირებული ფასების სისტემას წარმოებული თამბაქოს ყველა ჯგუფისთვის.

11. სიგარეტებზე აქციზის გადასახადის სტრუქტურა, პროდუქტის ერთეულზე გაანგარიშებული კონკრეტულ კომპონენტთან ერთად, უნდა მოიცავდეს საცალო რეალიზაციის ფასზე დამყარებულ პროპორციულ კომპონენტს, ყველა გადასახადის ჩათვლით. სიგარეტებზე დასაბეგრი ბრუნვის გადასახადს აქვს იგივე შედეგი, რაც ადვალორულ აქციზის გადასახადს და ეს ფაქტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აქციზის გადასახადის კონკრეტულ კომპონენტსა და საერთო საგადასახადო ტვირთს შორის თანაფარდობის დადგენისას.

12. დაბეგვრის შერეული სტრუქტურისა და საერთო საგადასახადო ტვირთის კონკრეტული კომპონენტის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებლის შეუზღუდავად, წევრ სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ ეფექტური საშუალებები სიგარეტების კონკრეტული ან მინიმალური აქციზის გადასახადით დასაბეგრად, რათა დაბეგვრის სულ მცირე, გარკვეული მინიმალური ოდენობა გავრცელდეს ევროკავშირის მასშტაბით.

13. შიდა ბაზრის სათანადო ფუნქციონირებისთვის, აუცილებელია აქციზის მინიმალური გადასახადების დადგენა წარმოებული თამბაქოს ყველა კატეგორიისთვის.

14. რამდენადაც საქმე ეხება სიგარეტებს, მწარმოებლებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კონკურენციის ნეიტრალური პირობები, თამბაქოს ბაზრების დანაწევრება უნდა შემცირდეს და ხაზი უნდა გაესვას ჯანდაცვის მიზნებს. ამგვარად, ფასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნა დაკავშირებული უნდა იყოს საშუალო შეწონილ საცალო სარეალიზაციო ფასთან მაშინ, როდესაც ფულადი სახსრების მინიმუმი უნდა გავრცელდეს ყველა სიგარეტზე. იმავე მიზნებისთვის, საშუალო შეწონილი სარეალიზაციო ფასი აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც მითითება საერთო საგადასახადო ტვირთში კონკრეტული აქციზის გადასახადის მნიშვნელობის შეფასებაზე.

15. ფასებთან და აქციზის დონეებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სიგარეტებისთვის, რომლებიც უმეტესწილად თამბაქოს პროდუქტების ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიაა, აგრეთვე სიგარეტების დასახვევად გამოსაყენებელი დაკუწული თამბაქოსთვის, ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები წევრ სახელმწიფოებს შორის, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს შიდა ბაზრის ფუნქციონირებას. წევრ სახელმწიფოებში გამოყენებული დაბეგვრის დონეებს შორის კონვერგენციის გარკვეული ხარისხი ევროკავშირში შეამცირებდა თაღლითობისა და კონტრაბანდის ფაქტებს.

16. ეს კონვერგენცია აგრეთვე უზრუნველყოფდა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს ხარისხს. დაბეგვრის დონე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თამბაქოს პროდუქტების ფასში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მომხმარებლების მოწევის ჩვევებზე. თაღლითობისა და კონტრაბანდის ფაქტები უარყოფით გავლენას ახდენენ გადასახადით გამოწვეულ ფასის დონეებზე, კერძოდ, სიგარეტებისა და სიგარეტების დახვევისთვის გამოყენებული დაკუწული თამბაქოს ფასის დონეებზე, ხოლო ამით ისინი საფრთხეს უქმნიან თამბაქოს კონტროლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნების მიღწევას.

17. სიგარეტების გარდა სხვა პროდუქტებთან დაკავშირებით, უნდა დადგინდეს საგადასახადო ტვირთის ჰარმონიზებული განაწილება ყველა იმ პროდუქტისთვის, რომელიც განეკუთვნება წარმოებული თამბაქოს ერთსა და იმავე ჯგუფს. პროცენტული მაჩვენებლით გამოსახული საერთო მინიმალური აქციზის გადასახადის განსაზღვრა, როგორც ოდენობა კილოგრამისთვის ან ერთეულების მოცემული რაოდენობისთვის, ყველაზე შესაფერისია შიდა ბაზრის ფუნქციონირებისთვის.

18. სიგარეტების დასახვევად გამოყენებულ დაკუწულ თამბაქოსთან მიმართებით, ევროკავშირის ფასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნა უნდა გამოისახოს ისეთი მეთოდით, რომ მიღწეულ იქნეს იგივე შედეგები, რაც სიგარეტების შემთხვევაში, ხოლო ათვლის წერტილად აღებულ უნდა იქნეს საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასი.

19. აუცილებელია, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი დაკუწული თამბაქოს მინიმალური დონეები უფრო დაუახლოვდეს სიგარეტების მიმართ გამოყენებულ მინიმალურ დონეებს, რათა უკეთ იქნეს გათვალისწინებული ამ ორ პროდუქტს შორის არსებული კონკურენციის ხარისხი, რაც ასახულია დაკვირვებულ სამომხმარებლო მოთხოვნის ხარისხში, აგრეთვე ამ ორის თანაბრად მავნე თვისებაში.

20. პორტუგალიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამიყენოს შემცირებული განაკვეთი სიგარეტებისთვის, რომლებიც დამზადებულია მცირე მწარმოებლების მიერ და რომელთა მოხმარება ხდება აზორის კუნძულებისა და მადეირას ყველაზე შორეულ რეგიონებში.

21. გარდამავალმა პერიოდებმა წევრ სახელმწიფოებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, შეუფერხებლად მოერგონ აქციზის გადასახადის საერთო დონეებს, რაც შეამცირებს შესაძლო გვერდით მოვლენებს.

22. კორსიკის ეკონომიკური და სოციალური ბალანსისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, ძალიან მნიშვნელოვანი და ამავდროულად გამართლებულია, რომ დაშვებულ იქნეს გადახვევა 2015 წლის 31 დეკემბრამდე, რა დროისთვისაც საფრანგეთს შეუძლია გამოიყენოს აქციზის გადასახადის ის განაკვეთი, რომელიც დაბალია კორსიკაში მოხმარებისთვის რეალიზებული სიგარეტებისა და წარმოებული თამბაქოს სხვა პროდუქტების ადგილობრივ განაკვეთზე. ამ თარიღისთვის, საგადასახადო წესები იქ მოხმარების მიზნით გამოშვებული წარმოებული თამბაქოსთვის, სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი კონტინენტურ საფრანგეთში მოქმედ ნორმებთან. თუმცა, ზედმეტად მკვეთრი ცვლილება თავიდან უნდა იქნეს აცილებული და ამიტომ, ის აქციზის გადასახადი, რომლითაც ამჟამად იბეგრება სიგარეტები და სიგარეტების დახვევისთვის გამიზნული დაკუწული თამბაქო კორსიკაზე, ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს.

23. წევრი სახელმწიფოების უმეტესობა აქციზის გადასახადისგან ათავისუფლებს, ან აქციზის გადასახადებს ანაზღაურებს წარმოებული თამბაქოს გარკვეული ტიპების შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რისთვის გამოიყენებიან ისინი, ხოლო განთავისუფლება ან ანაზღაურება კონკრეტული გამოყენებებისთვის საჭიროებენ წინამდებარე დირექტივაში ასახვას.

24. გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროცედურა, რომელიც შესაძლებელს გახდის წინამდებარე დირექტივაში მოცემული განაკვეთებისა და ოდენობების პერიოდულ გადასინჯვას, ევროკომისიის ანგარიშის საფუძველზე, ყველა სათანადო ფაქტორის გათვალისწინებით.

25. წინამდებარე დირექტივამ არ უნდა შეზღუდოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები წინამდებარე დირექტივის ქვეყნის კანონმდებლობაში გადმოტანის ვადებთან დაკავშირებით, დანართი I-ის B ნაწილის თანახმად,

მიიღო წინამდებარე დირექტივა:

თავი 1

საგანი

მუხლი 1

წინამდებარე დირექტივა განსაზღვრავს იმ აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების ჰარმონიზაციის ზოგად პრინციპებს, რომელსაც წევრი სახელმწიფოები აწესებენ წარმოებულ თამბაქოზე.

თავი 2

განმარტებები

მუხლი 2

1. წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, წარმოებული თამბაქო ნიშნავს შემდეგს:

a. სიგარეტები;
b. სიგარები და სიგარილოები;
c. მოსაწევი თამბაქო:

i. დაკუწული თამბაქო სიგარეტების დასახვევად;
ii. სხვა მოსაწევი თამბაქო.

2. ის პროდუქტები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შედგებიან თამბაქოს გარდა სხვა ნივთიერებებისგან, მაგრამ რომლებიც, სხვა მხრივ, აკმაყოფილებენ მე-3 ან მე-5(1) მუხლში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მიჩნეულ უნდა იქნენ სიგარეტებად და მოსაწევ თამბაქოდ.

პირველი აბზაცის მიუხედავად, ის პროდუქტები, რომლებიც არ შეიცავენ თამბაქოს და რომლებიც გამოიყენება ექსკლუზიურად სამედიცინო მიზნებისთვის, არ უნდა იქნენ მიჩნეულნი წარმოებულ თამბაქოდ.

3. ევროკავშირის არსებული დებულებების მიუხედავად, ამ მუხლის მე-2 პუნქტში და მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში მოცემულმა განმარტებებმა არ უნდა შეზღუდონ დაბეგვრის იმ სისტემისა თუ დონის შერჩევა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ამ მუხლებში მითითებული პროდუქტების განსხვავებული ჯგუფების მიმართ.

მუხლი 3

1. წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, სიგარეტები ნიშნავს შემდეგს:

a. თამბაქოს გრაგნილები, რომელთა მოწევაც პირდაპირ ასეთი სახით შეიძლება და რომლებიც არ წარმოადგენენ სიგარებს ან სიგარილოებს მე-4(1) მუხლის მნიშვნელობით;
b. თამბაქოს გრაგნილები, რომლებიც მარტივი, სამრეწველო დამუშავების გარეშე, იდება სიგარეტის ქაღალდის მილებში;
c. თამბაქოს გრაგნილები, რომლებიც მარტივი, სამრეწველო დამუშავების გარეშე, იფუთება სიგარეტის ქაღალდით.

2. პირველ პუნქტში მითითებული თამბაქოს გრაგნილი, აქციზის გადასახადის მიზნებისთვის, მიჩნეულ უნდა იქნეს ორ სიგარეტად იმ შემთხვევაში, როცა, ფილტრის ან მუნდშტუკის გამოკლებით, ის 8 სმ-ზე გრძელია, მაგრამ არ აღემატება 11 სმ-ს; სამ სიგარეტად იმ შემთხვევაში, როცა, ფილტრის ან მუნდშტუკის გამოკლებით, ის 11 სმ-ზე გრძელია, მაგრამ არ აღემატება 14 სმ-ს, და ა.შ.

მუხლი 4

1. წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი მიჩნეულ უნდა იქნეს სიგარებად ან სიგარილოებად, თუ მათი მოწევა შესაძლებელია ასეთ მდგომარეობაში და მათი თვისებებისა და მომხმარებელთა ჩვეულებრივი მოლოდინის გათვალისწინებით, შეიძლება ექსკლუზიურად განკუთვნილი იყოს ასეთ მდგომარეობაში მოწევისთვის:

a. თამბაქოს გრაგნილები ბუნებრივი თამბაქოს გარეგანი შეფუთვით;
b. აღდგენილი თამბაქოს გრაგნილები კუპაჟის დაქუცმაცებული შემავსებლით და ჩვეულებრივი ფერის სიგარის გარე შეფუთვით მთლიან პროდუქტზე, მათ შორის, სადაც საჭიროა, ფილტრი, მაგრამ არა მუნდშტუკი, მუნდშტუკიანი სიგარების შემთხვევაში, როცა კუთრი წონა, ფილტრის ან მუნდშტუკის გამოკლებით, არ არის 2,3 გრ-ზე ნაკლები და არ აღემატება 10 გრ-ს და რომლის გარშემოწერილობა სიგრძის სულ მცირე ერთ მესამედზე, არ არის 34 მმ-ზე ნაკლები.

2. პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით, გერმანიას და უნგრეთს, 2014 წლის 31 დეკემბრამდე უფლება აქვთ, განაგრძონ შემდეგი აბზაცის გამოყენება.

ქვემოთ ჩამოთვლილი მიჩნეულ უნდა იქნეს სიგარებად ან სიგარილოებად, თუ მათი ამ სახით მოწევა შესაძლებელია:

a. მთლიანად ბუნებრივი თამბაქოსგან დამზადებული თამბაქოს გრაგნილები;
b. თამბაქოს გრაგნილები ბუნებრივი თამბაქოს გარე შეფუთვით;
c. თამბაქოს გრაგნილები კუპაჟის დაქუცმაცებული შემავსებლით და ჩვეულებრივი ფერის სიგარის გარე შეფუთვით, რომელიც მთლიანად ფარავს პროდუქტს, მათ შორის, სადაც საჭიროა, ფილტრი, მაგრამ არა მუნდშტუკი ან შესახვევი, მუნდშტუკიანი სიგარების შემთხვევაში, რომლებიც ეკუთვნის აღდგენილ თამბაქოს, როცა კუთრი წონა, ფილტრის ან მუნდშტუკის გამოკლებით, არ არის 1,2 გრ-ზე ნაკლები და იმ შემთხვევაში, როცა შეფუთვა ჩასმულია სპირალურ ფორმაში, რომლის სულ მცირე 30 გრადუსიანი მახვილი კუთხე სიგარის გრძივი ღერძისკენ არის მიმართული;
d. აღდგენილი თამბაქოს გრაგნილები კუპაჟის დაქუცმაცებული შემავსებლით და ჩვეულებრივი ფერის სიგარის გარე შეფუთვით, რომელიც მთლიანად ფარავს პროდუქტს, მათ შორის, სადაც ეს შესაფერისია, ფილტრი, მაგრამ არა მუნდშტუკი, მუნდშტუკიანი სიგარების შემთხვევაში, როცა კუთრი წონა, ფილტრის ან მუნდშტუკის გარეშე, არ არის 2,3 გრ-ზე ნაკლები, ხოლო მისი გარშემოწერილობა სიგრძის სულ მცირე ერთ მესამედზე არ არის 34 მმ-ზე ნაკლები.

3. ის პროდუქტები, რომლებიც ნაწილობრივ შედგებიან თამბაქოს გარდა სხვა ნივთიერებებისგან, მაგრამ რომლებიც, სხვა მხრივ, აკმაყოფილებენ პირველ პუნქტში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მიჩნეულ უნდა იქნენ სიგარებად და სიგარილოებად.

მუხლი 5

1. წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, მოსაწევი თამბაქო ნიშნავს შემდეგს:

a. თამბაქო, რომელიც დაიჭრა ან სხვაგვარად დაქუცმაცდა, დაიხვა ან დაიპრესა ბლოკებად და რომელიც შეიძლება მოწეულ იქნეს შემდგომი სამრეწველო დამუშავების გარეშე;
b. თამბაქოს ნარჩენები, რომლებიც გამოტანილია საცალო რეალიზაციისთვის, რომელიც არ ექცევა მუხლების 3 და 4(1) ფარგლებში და რომლის მოწევაც შესაძლებელია. ამ მუხლის მიზნებისთვის, თამბაქოს ნარჩენი მიიჩნევა თამბაქოს ფოთლების ნარჩენებად და სუბპროდუქტებად, რომლებიც მიიღება თამბაქოს დამუშავების, ან თამბაქოს პროდუქტების წარმოების შედეგად.

2. მოსაწევი თამბაქო, რომელშიც თამბაქოს ნაწილაკების წონის 25%-ზე მეტს გააჩნია 1,5 მმ-ზე ნაკლები განივკვეთი, მიიჩნევა სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილ დაკუწულ თამბაქოდ.

წევრ სახელმწიფოებს აგრეთვე შეუძლიათ მიიჩნიონ სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილ დაკუწულ თამბაქოდ ის მოსაწევი თამბაქო, რომელშიც თამბაქოს ნაწილაკების წონის 25%-ზე მეტს გააჩნია 1,5 მმ ან მეტი განივკვეთი და

რომელიც გაიყიდა ან გამიზნული იყო სარეალიზაციოდ სიგარეტების დახვევისთვის.

მუხლი 6

ევროკავშირში დაფუძნებული ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თამბაქოს გარდაქმნის საცალო ვაჭრობისთვის მომზადებულ წარმოებულ პროდუქტებად, მიჩნეულ უნდა იქნეს მწარმოებლად.

თავი 3

სიგარეტების მიმართ გამოყენებული დებულებები

მუხლი 7

1. ევროკავშირში წარმოებული და მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული სიგარეტები ექვემდებარებიან მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე გაანგარიშებულ ადვალორულ სააქციზო გადასახადს, საბაჟო მოსაკრებლების ჩათვლით, აგრეთვე პროდუქტის ერთეულის მიხედვით გაანგარიშებულ კონკრეტულ სააქციზო გადასახადს.

პირველი აბზაცის მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამორიცხონ საბაჟო მოსაკრებლები სიგარეტებზე ადვალორული სააქციზო გადასახადის გაანგარიშების საფუძვლიდან.

2. ადვალორული სააქციზო გადასახადის განაკვეთი და კონკრეტული სააქციზო გადასახადის ოდენობა ყველა სიგარეტისთვის ერთნაირი უნდა იყოს.

3. სტრუქტურების ჰარმონიზაციის ბოლო ეტაპზე, ყველა წევრ სახელმწიფოში სიგარეტებისთვის უნდა დადგინდეს ერთი და იგივე კოეფიციენტი, კონკრეტულ აქციზის გადასახადსა და ადვალორული აქციზის გადასახადისა და დასაბეგრი ბრუნვის გადასახადის ჯამს შორის, იმგვარად, რომ საცალო სარეალიზაციო ფასების დიაპაზონი სამართლიანად ასახავდეს მწარმოებლების მიწოდების ფასებში არსებულ სხვაობას.

4. საჭიროების შემთხვევაში, სიგარეტებზე აქციზის გადასახადი შეიძლება მოიცავდეს მინიმალური გადასახადის კომპონენტს, იმ პირობით, თუ დაბეგვრის შერეული სტრუქტურა და მე-8 მუხლით განსაზღვრული აქციზის გადასახადის კონკრეტული კომპონენტის ზღვარი მკაცრად იქნება დაცული.

მუხლი 8

1. აქციზის გადასახადის კონკრეტული კომპონენტის პროცენტული მაჩვენებელი, სიგარეტებზე საერთო საგადასახადო ტვირთის ოდენობაში, უნდა დადგინდეს საშუალო შეწონილ საცალო სარეალიზაციო ფასთან მიმართებით.

2. საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასი უნდა გაანგარიშდეს მოხმარებისთვის გაშვებული ყველა სიგარეტის საერთო ღირებულებასთან მიმართებით, საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე, ყველა გადასახადის ჩათვლით, რომელიც იყოფა მოხმარებისთვის გაშვებული სიგარეტების საერთო რაოდენობაზე. ის უნდა განისაზღვროს არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისთვის, წინა კალენდარული წლის განმავლობაში მოხმარების მიზნით ყველა ამ გაშვებასთან დაკავშირებული მონაცემების საფუძველზე.

3. 2013 წლის 31 დეკემბრამდე, აქციზის გადასახადის კონკრეტული კომპონენტი არ უნდა იყოს იმ საერთო საგადასახადო ტვირთის ოდენობის 5%-ზე ნაკლები და 76,5%-ზე მეტი, რომელიც წარმოიშვა შემდეგის გაერთიანების შედეგად:

a. კონკრეტული აქციზის გადასახადი;
b. ადვალორული აქციზის გადასახადი და დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), რომლითაც დაბეგრილია საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასი.

4. 2014 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტებზე აქციზის გადასახადის კონკრეტული კომპონენტი არ უნდა იყოს იმ საერთო საგადასახადო ტვირთის ოდენობის 7,5%-ზე ნაკლები და 76,5%-ზე მეტი, რომელიც წარმოიშვება შემდეგის გაერთიანების შედეგად:

a. კონკრეტული აქციზის გადასახადი;
b. ადვალორული აქციზის გადასახადი და დღგ, რომლითაც დაბეგრილია საშუალო შეწონილი სარეალიზაციო ფასი.

5. მე-3 და მე-5 პუნქტებიდან გამონაკლისის სახით, იმ შემთხვევაში, როცა წევრ სახელმწიფოში ხდება სიგარეტების საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის ცვლილება, მას შედეგად მოჰყვება სააქციზო გადასახადის კონკრეტული კომპონენტი, რომელიც გამოსახულია საერთო საგადასახადო ტვირთის პროცენტული მაჩვენებლის სახით, საერთო საგადასახადო ტვირთის შესაბამის 5%-ზე ან 7,5%-ზე ქვევით, ან 76,5%-ზე ზევით, შესაბამის წევრ სახელმწიფოს შეუძლია თავი შეიკავოს კონკრეტული აქციზის გადასახადის ოდენობის რეგულირებისგან, იმ წლის მომდევნო მეორე წლის 1 იანვრამდე, როცა ზემოაღნიშნული ცვლილება მოხდა.

6. ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და მე-7(1) მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სიგარეტები დაბეგრონ მინიმალური აქციზის გადასახადით.

მუხლი 9

1. წევრმა სახელმწიფოებმა სიგარეტების მიმართ უნდა გამოიყენონ მინიმალური სამომხმარებლო გადასახადები ამ თავში გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2. პირველი პუნქტი გამოიყენება იმ გადასახადების მიმართ, რომლებითაც, ამ თავის შესაბამისად, იბეგრება სიგარეტები და რომლებიც შედგებიან შემდეგისგან:

a. კონკრეტული აქციზის გადასახადი პროდუქტის თითოეული ერთეულისთვის;
b. ადვალორული აქციზის გადასახადი, გაანგარიშებული მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე;
c. დღგ, რომელიც საცალო სარეალიზაციო ფასის პროპორციულია.

მუხლი 10

1. სიგარეტებზე საერთო აქციზის გადასახადი (კონკრეტული გადასახადი და ადვალორული გადასახადი, დღგ-ს გამოკლებით) უნდა წარმოადგენდეს მოხმარებისთვის გაშვებული სიგარეტების საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 57%-ს. ეს აქციზის გადასახადი არ უნდა იყოს 64 ევროზე ნაკლები ყოველ 1000 ცალ სიგარეტზე, საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის მიუხედავად.

თუმცა, იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც ყოველ 1000 ცალ სიგარეტს სულ მცირე 101 ევროს აქციზის გადასახადით ბეგრავენ საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე, არ სჭირდებათ დააკმაყოფილონ პირველ აბზაცში განსაზღვრული მოთხოვნა 57%-თან დაკავშირებით.

2. 2014 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტებზე საერთო აქციზის გადასახადი უნდა წარმოადგენდეს მოხმარებისთვის გაშვებული სიგარეტების საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 60%-ს. ეს აქციზის გადასახადი ყოველ 1000 ცალ სიგარეტზე არ უნდა იყოს 90 ევროზე ნაკლები, საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის მიუხედავად.

თუმცა, იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც ყოველ 1000 ცალ სიგარეტს სულ მცირე 115 ევროს აქციზის გადასახადით ბეგრავენ საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე, არ სჭირდებათ დააკმაყოფილონ პირველ აბზაცში განსაზღვრული მოთხოვნა 60%-თან დაკავშირებით.

ბულგარეთს, ესტონეთს, საბერძნეთს, ლატვიას, ლიტვას, უნგრეთს, პოლონეთსა და რუმინეთს უნდა მიეცეთ გარდამავალი პერიოდი 2017 წლის 31 დეკემბრამდე, პირველ და მეორე აბზაცებში განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

3. წევრმა სახელმწიფოებმა თანდათან უნდა გაზარდონ აქციზის გადასახადები მე-2 პუნქტში მითითებული იმ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც შეეხება მასში განსაზღვრულ ვადებს.

მუხლი 11

1. იმ შემთხვევაში, როცა წევრ სახელმწიფოში ხდება საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის ცვლილება, რასაც შედეგად მოჰყვება საერთო აქციზის გადასახადის შემცირება მე-10 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში და შესაბამისად მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში განსაზღვრულ დონეებზე მეტად, შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ამ გადასახადის რეგულირებისგან იმ წლის მომდევნო მეორე წლის 1 იანვრამდე, რომელშიც ზემოაღნიშნული ცვლილება მოხდა.

2. იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფო ზრდის სიგარეტებზე დღგ-ს განაკვეთს, მას შეუძლია საერთო აქციზის გადასახადის შემცირება იმ ოდენობამდე, რომელიც, საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასით გამოსახული, ტოლია დღგ-ს განაკვეთის ზრდისა, რომელიც აგრეთვე გამოსახულია საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის პროცენტული მაჩვენებლით, თუნდაც ამ რეგულირებას ჰქონდეს საერთო აქციზის გადასახადის საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის პროცენტული მაჩვენებლის სახით გამოსახულ იმ დონეებზე ქვევით დაწევის ეფექტი, რომლებიც განსაზღვრულია მე-10 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასა და შესაბამისად მე-2 აბზაცის პირველ წინადადებაში.

თუმცა, წევრმა სახელმწიფომ ეს გადასახადი კიდევ უნდა გაზარდოს, რათა მიღწეულ იქნეს, სულ მცირე, ეს დონეები იმ წლის მომდევნო მეორე წლის 1 იანვრისთვის, რომელშიც განხორციელდა შემცირება.

მუხლი 12

1. პორტუგალიას შეუძლია გამოიყენოს იმაზე მაქსიმუმ 50%-ით ნაკლები განაკვეთი, რაც განსაზღვრულია მე-10 მუხლში, აზორის კუნძულებისა და მადეირას ყველაზე შორეულ რეგიონებში მოხმარებული იმ სიგარეტების მიმართ,

რომლებსაც ამზადებენ ის მცირე მწარმოებლები, რომელთაგან თითოეულის წლიური წარმოება არ აღემატება 500 ტონას.

2. მე-10 მუხლიდან გამონაკლისის სახით, საფრანგეთს შეუძლია განაგრძოს 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის აქციზის გადასახადის შემცირებული განაკვეთის გამოყენება კორსიკის დეპარტამენტებში მოხმარებისთვის გაშვებული სიგარეტების მიმართ, მაქსიმუმ 1200 ტონა წლიური კვოტით. შემცირებული განაკვეთი უნდა იყოს:

a. 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ფასის სულ მცირე 44%, ფასთა იმ კატეგორიის მქონე სიგარეტებისთვის, რომელიც ამ დეპარტამენტებში ყველაზე მოთხოვნადია;
b. 2013 წლის 1 იანვრიდან, მოხმარებისთვის გაშვებული სიგარეტების საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 50%; აქციზის გადასახადი არ უნდა იყოს 88 ევროზე ნაკლები ყოველ 1 000 ცალ სიგარეტზე, საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის მიუხედავად;
c. 2015 წლის 1 იანვრიდან, მოხმარებისთვის გაშვებული საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 57%; აქციზის გადასახადი არ უნდა იყოს 90 ევროზე ნაკლები ყოველ 1 000 ცალ სიგარეტზე, საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის მიუხედავად.

თავი 4

სიგარეტების გარდა სხვა წარმოებული თამბაქოს მიმართ გამოყენებული დებულებები

მუხლი 13

ევროკავშირში წარმოებული და მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული წარმოებული თამბაქოს შემდეგი ჯგუფები, თითოეულ წევრ ქვეყანაში, უნდა დაექვემდებარონ მე-14 მუხლში განსაზღვრულ აქციზის მინიმალურ გადასახადს:

a. სიგარები და სიგარილოები;
b. სიგარეტების დასახვევად განკუთვნილი დაკუწული თამბაქო;
c. მოსაწევი თამბაქოს სხვა პროდუქტები.

მუხლი 14

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ აქციზის გადასახადი, რომელიც შეიძლება:

a. იყოს ან ადვალორული გადასახადი, გაანგარიშებული თითოეული პროდუქტის მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე, რომელიც ევროკავშირში დარეგისტრირებული მწარმოებლების ან მესამე ქვეყნების იმპორტიორების მიერ მე-15 მუხლის შესაბამისად თავისუფლად განისაზღვრება; ან
b. იყოს ერთ კილოგრამზე ოდენობით გამოსახული კონკრეტული გადასახადი, ან სიგარებისა და სიგარილოების შემთხვევაში, ალტერნატიულად, პროდუქტების მოცემული რაოდენობისთვის; ან
c. ორივეს- ადვალორული კომპონენტისა და კონკრეტული კომპონენტის ნარევი.

იმ შემთხვევებში, როცა აქციზის გადასახადი არის ან ადვალორული ან შერეული, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ აქციზის გადასახადის მინიმალური ოდენობა.

2. საერთო აქციზის გადასახადი (კონკრეტული გადასახადი ან/და ადვალორული გადასახადი, დღგ-ს გამოკლებით), გამოსახული პროცენტებით ერთ კილოგრამზე ოდენობით, ან ერთეულების მოცემული რაოდენობისთვის, სულ მცირე, ექვივალენტური უნდა იყოს შემდეგისთვის განსაზღვრული განაკვეთების ან მინიმალური ოდენობებისთვის:

a. სიგარები ან სიგარილოები: საცალო სარეალიზაციო ფასის 5%, ყველა გადასახადის ჩათვლით, ან ყოველ 1000 ცალ ერთეულზე ან ერთ კილოგრამზე 12 ევრო;
b. სიგარეტების დასახვევად განკუთვნილი დაკუწული მოსაწევი თამბაქო: მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დასახვევად განკუთვნილი, დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის 40%, ან კილოგრამზე 40 ევრო;
c. მოსაწევი თამბაქოს სხვა პროდუქტები: საცალო სარეალიზაციო ფასის 20%, ყველა გადასახადის ჩათვლით, ან კილოგრამზე 22 ევრო.

2013 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილ, დაკუწულ მოსაწევ თამბაქოზე საერთო აქციზის გადასახადი უნდა წარმოადგენდეს მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 43%-ს, ან სულ მცირე, კილოგრამზე 47 ევროს.

2015 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილ, დაკუწულ მოსაწევ თამბაქოზე საერთო აქციზის გადასახადი უნდა წარმოადგენდეს მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 46%-ს, ან სულ მცირე, კილოგრამზე 54 ევროს.

2018 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილ, დაკუწულ მოსაწევ თამბაქოზე საერთო აქციზის გადასახადი უნდა წარმოადგენდეს მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი, დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 48%-ს, ან სულ მცირე, კილოგრამზე 60 ევროს.

2020 წლის 1 იანვრიდან, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილ, დაკუწულ მოსაწევ თამბაქოზე საერთო აქციზის გადასახადი უნდა წარმოადგენდეს მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი, დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 50%-ს, ან სულ მცირე, კილოგრამზე 60 ევროს.

საშუალო შეწონილი საცალო სარეალიზაციო ფასი უნდა გაანგარიშდეს მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი, დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საერთო ღირებულების გათვალისწინებით, საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე, ყველა გადასახადის ჩათვლით, რომელიც იყოფა მოხმარებისთვის გაშვებული, სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი დაკუწული მოსაწევი თამბაქოს საერთო რაოდენობაზე. ის უნდა განისაზღვროს არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისთვის, წინა კალენდარული წლის განმავლობაში მოხმარების მიზნით ყველა ამ გაშვებასთან დაკავშირებული მონაცემების საფუძველზე.

3. პუნქტებში 1 და 2 მითითებული განაკვეთები ან ოდენობები ძალაშია ყველა იმ პროდუქტისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან შესაბამისი წარმოებული თამბაქოს ჯგუფს, თითოეულ ჯგუფში პროდუქტების ხარისხის, პრეზენტაციის, წარმოშობის, გამოყენებული მასალების, პროცესში მონაწილე კომპანიების მახასიათებლების, ან ნებისმიერი სხვა კრიტერიუმის გამორჩევის გარეშე.

4. პუნქტებიდან 1 და 2 გამონაკლისის სახით, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, საფრანგეთს შეუძლია განაგრძოს აქციზის გადასახადის შემცირებული განაკვეთის გამოყენება წარმოებული თამბაქოს მიმართ, გარდა კორსიკის დეპარტამენტებში მოხმარებისთვის გაშვებული სიგარეტებისა. შემცირებული განაკვეთი უნდა იყოს:

a. სიგარებისა და სიგარილოებისთვის: საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 10%, ყველა გადასახადის ჩათვლით;
b. სიგარეტების დახვევისთვის განკუთვნილი დაკუწული მოსაწევი თამბაქოსთვის:

i. 2012 წლის 31 დეკემბრამდე, საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 27%, ყველა გადასახადის ჩათვლით;
ii. 2013 წლის 1 იანვრიდან, საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 30%, ყველა გადასახადის ჩათვლით;
iii. 2015 წლის 1 იანვრიდან, საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 35%, ყველა გადასახადის ჩათვლით;

c. სხვა მოსაწევი თამბაქოსთვის: საცალო სარეალიზაციო ფასის სულ მცირე 22%, ყველა გადასახადის ჩათვლით.

თავი 5

წარმოებული თამბაქოს მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა, აქციზის გადასახადის აკრეფა, გათავისუფლება და დაბრუნება

მუხლი 15

1. მწარმოებლები, ან საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირში მათი წარმომადგენლები, ან უფლებამოსილი აგენტები და მესამე ქვეყნებიდან თამბაქოს იმპორტიორები, საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენენ მაქსიმალურ საცალო სარეალიზაციო ფასს თითოეული მათი პროდუქტისთვის ყოველი იმ წევრი სახელმწიფოს შემთხვევაში, რომლისთვისაც აღნიშნული პროდუქტები მოხმარებაში უნდა იქნეს გაშვებული.

თუმცა, პირველმა აბზაცმა ხელი არ უნდა შეუშალოს ფასების დონეების კონტროლთან ან დაწესებული ფასების დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული საკანონმდებლო სისტემების განხორციელებას იმ პირობით, თუ ისინი შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას.

2. აქციზის გადასახადით დაბეგვრის ხელშესაწყობად, წევრ სახელმწიფოებს, წარმოებული თამბაქოს თითოეული ჯგუფისთვის, შეუძლიათ დააწესონ საცალო სარეალიზაციო ფასების შკალა იმ პირობით, რომ თითოეულ შკალას გააჩნდეს საკმარისი გავრცელების სფერო და ნაირსახეობა, რათა რეალურად შეესაბამებოდეს ევროკავშირში წარმოშობილი პროდუქტების ნაირსახეობას.

ყოველი შკალა უნდა ვრცელდებოდეს ყველა იმ პროდუქტზე, რომელიც განეკუთვნება წარმოებული თამბაქოს იმ ჯგუფს, რომელსაც ეს შკალა ეხება, პროდუქტების ხარისხის, პრეზენტაციის, წარმოშობისა თუ გამოყენებული მასალის, საწარმოების მახასიათებლების, ან სხვა ნებისმიერი კრიტერიუმის მიხედვით განსხვავების გარეშე.

მუხლი 16

1. არაუგვიანეს აქციზის გადასახადის ჰარმონიზაციის ბოლო ეტაპისა, უნდა მოხდეს აქციზის გადასახადის აკრეფის წესების ჰარმონიზება. წინა ეტაპის დროს, აქციზის გადასახადი, ძირითადად უნდა აიკრიფოს აქციზური მარკების

მეშვეობით. წევრი სახელმწიფოები, თუ ისინი აქციზის გადასახადს კრეფენ აქციზური მარკების მეშვეობით, ვალდებულნი არიან, აღნიშნული მარკები სხვა წევრ სახელმწიფოებში მწარმოებლებისა და გამყიდველებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ. წევრმა სახელმწიფოებმა, თუ ისინი აქციზის გადასახადს კრეფენ სხვა საშუალებების გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ, რომ ამ მხრივ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენა არ მოახდინოს რაიმე ადმინისტრაციული თუ ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებამ.

2. იმპორტიორები და წარმოებული თამბაქოს ევროკავშირის მწარმოებლები ექვემდებარებიან პირველ პუნქტში განსაზღვრულ სისტემას, აქციზის გადასახადით დაბეგვრისა და მისი გადახდის დეტალურ წესებთან დაკავშირებით.

მუხლი 17

ქვემოთ მოცემული პროდუქტები შეიძლება გათავისუფლდნენ აქციზის გადასახადისგან, ან მათზე უკვე გადახდილი აქციზის გადასახადი შეიძლება დაბრუნდეს:

a. სამრეწველო ან მებაღეობის მიზნებისთვის გამოყენებული დენატურირებული წარმოებული თამბაქო;
b. ადმინისტრაციული ზედამხედველობის ქვეშ განადგურებული წარმოებული თამბაქო;
c. წარმოებული თამბაქო, რომელიც მხოლოდ სამეცნიერო გამოცდების ან პროდუქტის ხარისხის გამოცდის მიზნით გამოიყენება;
d. მწარმოებლის მიერ გადამუშავებული წარმოებული თამბაქო.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ის პირობები და ფორმალობები, რომლებსაც ზემოაღნიშული გათავისულება ან დაბრუნება ექვემდებარება.

თავი 6

დასკვნითი დებულებები

მუხლი 18

1. კომისიამ წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია ევროს იმ ღირებულების შესახებ ეროვნულ ვალუტებში, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს აქციზის საერთო გადასახადის ოდენობების მიმართ.

გამოსაყენებელი გაცვლითი კურსები ის კურსებია, რომლებიც მიღებულია ოქტომბრის პირველ სამუშაო დღეს და გამოქვეყნებულია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში და გამოყენებულ უნდა იქნენ შემდგომი კალენდარული წლის 1 იანვრიდან.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ძალაში შეინარჩუნონ აქციზის გადასახადის ის ოდენობები, რომლებიც მოქმედებს პირველი პუნქტით გათვალისწინებული წლიური რეგულირებისას, თუ ევროში გამოსახული აქციზის გადასახადების ოდენობების კონვერტაცია გამოიწვევს ეროვნულ ვალუტაში გამოსახული აქციზის გადასახადის 5%-ზე ან 5 ევროზე ნაკლებ ზრდას, თანხობრივი თვალსაზრისით ამ ორიდან რომელიც უფრო ნაკლები იქნება.

მუხლი 19

1. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, კომისიამ საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში და საჭიროების შემთხვევაში, წინადადება წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული აქციზის გადასახადის განაკვეთებისა და სტრუქტურის შესახებ.

კომისიის ანგარიშში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შიდა ბაზრის ჯეროვანი ფუნქციონირება, აქციზის გადასახადის რეალური ღირებულება და ხელშეკრულების ფართო მიზნები.

2. პირველ პუნქტში მითითებული ანგარიში კერძოდ უნდა ეფუძნებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

3. კომისიამ, საბჭოს დირექტივის 2008/118/EC[5] 43-ე მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, უნდა განსაზღვროს ანგარიშისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების ნუსხა, გარდა ინდივიდუალურ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული მონაცემებისა. წევრი სახელმწიფოებისთვის მზა სახით ხელმისაწვდომი მონაცემების გარდა, ნუსხაში მხოლოდ უნდა შევიდეს ის მონაცემები, რომელთა შეგროვება და ერთად თავმოყრა წევრ სახელმწიფოებს არ შეუქმნის არათანაზომიერ ადმინისტრაციულ ტვირთს.

4. კომისიამ არ უნდა გამოაქვეყნოს ან სხვა ფორმით არ უნდა გაამჟღავნოს მონაცემები იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოიწვევს კომერციული, სამრეწველო ან პროფესიული საიდუმლოს გამჟღავნებას.

მუხლი 20

წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გააცნონ ეროვნული კანონმდებლობის იმ ძირითად დებულებათა ტექსტი, რომელსაც ისინი იღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.

მუხლი 21

გაუქმებულია დირექტივები 92/79/EEC, 92/80/EEC და 95/59/EC რომლებშიც ბოლო შესწორებები შევიდა დანართი I-ის A ნაწილში ჩამოთვლილი დირექტივებით, დანართი I-ის B ნაწილში მოცემული დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანისა და გამოყენების ვადებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების ვალდებულებათა შეუზღუდავად.

მითითებები გაუქმებულ დირექტივებზე განიმარტება, როგორც მითითებები წინამდებარე დირექტივაზე და ისინი წაკითხულ უნდა იქნეს დანართი II-ით განსაზღვრული კორელაციის ცხრილის მიხედვით.

მუხლი 22

წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვარს.

მუხლი 23

წინამდებარე დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.

გაფორმდა ლუქსემბურგში, 2011 წლის 21 ივნისს.

საბჭოს სახელით

თავმჯდომარე

ს. ფაზეკასი

დანართი I

ნაწილი A

გაუქმებული დირექტივები მასში შემდგომში შესული შესწორებების ნუსხასთან ერთად

(მითითებულია 21-ე მუხლში)

საბჭოს დირექტივა 92/79/EEC (ოფიციალური ჟურნალი L 316, 31.10.1992, გვ. 8)	
საბჭოს დირექტივა 1999/81/EC (ოფიციალური ჟურნალი L 211, 11.08.1999, გვ. 47)	მხოლოდ მუხლი 1
საბჭოს დირექტივა 2002/10/EC (ოფიციალური ჟურნალი L 46, 16.02.2002, გვ. 26)	მხოლოდ მუხლი 1
საბჭოს დირექტივა 2003/117/EC (ოფიციალური ჟურნალი , L 333, 20.12.2003, გვ.49)	მხოლოდ მუხლი 1
საბჭოს დირექტივა 2010/12/EC (ოფიციალური ჟურნალი L 50, 27.02.2010, გვ. 1)	მხოლოდ მუხლი 1
საბჭოს დირექტივა 92/80/EEC (ოფიციალური ჟურნალი L 316, 31.10.1992, გვ. 10)	
საბჭოს დირექტივა 1999/81/EC (ოფიციალური ჟურნალი L 211, 11.08.1999, გვ. 47)	მხოლოდ მუხლი 2
საბჭოს დირექტივა 2002/10/EC (ოფიციალური ჟურნალი L 46, 16.02.2002, გვ. 26)	მხოლოდ მუხლი 2

საბჭოს დირექტივა 2003/117/EC (ოფიციალური ჟურნალი , L 333, 20.12.2003, გვ. 49)	მხოლოდ მუხლი 2
საბჭოს დირექტივა 2010/12/EC (ოფიციალური ჟურნალი L 50, 27.02.2010, გვ. 1)	მხოლოდ მუხლი 2
საბჭოს დირექტივა 95/59/EC (ოფიციალური ჟურნალი L 291, 6.12.1995, გვ. 40)	
საბჭოს დირექტივა 1999/81/EC (ოფიციალური ჟურნალი L 211, 11.8.1999, გვ. 47)	მხოლოდ მუხლი 3
საბჭოს დირექტივა 2002/10/EC (ოფიციალური ჟურნალი L 46, 16.02.2002, გვ. 26)	მხოლოდ მუხლი 3
საბჭოს დირექტივა 2010/12/EC (ოფიციალური ჟურნალი L 50, 27.02.2010, გვ. 1)	მხოლოდ მუხლი 3

ნაწილი B

ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანისა და გამოყენების ვადების ნუსხა

(მითითებულია 21-ე მუხლში)

დირექტივა	გადმოტანის ვადები	გამოყენების თარიღი
92/79/EEC	1992 წლის 31 დეკემბერი	—
92/80/EEC	1992 წლის 31 დეკემბერი	—
95/59/EC	—	—
1999/81/EC	1999 წლის 1 იანვარი	1999 წლის 1 იანვარი
2002/10/EC	2002 წლის 1 ივლისი [6]	—
2003/117/EC	2004 წლის 1 იანვარი	—
2010/12/EU	2010 წლის 31 დეკემბერი	2011 წლის 1 იანვარი

დანართი II

კორელაციის ცხრილი

დირექტივა 92/79/EEC	დირექტივა 92/80/EEC	დირექტივა 95/59/EC	ეს დირექტივა
—	—	მუხლი 1(1) და (2)	მუხლი 1
—	—	მუხლი 1(3)	—
—	—	მუხლი 2(1), შესავალი ფრაზა	მუხლი 2(1), შესავალი ფრაზა
—	—	მუხლი 2(1)(a) და (b)	მუხლი 2(1)(a) და (b)

—	—	მუხლი 2(1)(c), პირველი აბზაცი	მუხლი 2(1)(c)(i)
—	—	მუხლი (1)(c), მეორე აბზაცი	მუხლი 2(1)(c)(ii)
—	—	მუხლი 2(1), საბოლოო სიტყვები	—
—	—	მუხლი 2(2)	—
—	—	მუხლი 7(2)	მუხლი 2(2)
—	—	მუხლი 2(3)	მუხლი 2(3)
—	—	მუხლი 4(1), პირველი აბზაცი	მუხლი 3(1)
—	—	მუხლი 4(1), მეორე აბზაცი	—
—	—	მუხლი 4(2)	მუხლი 3(2)
—	—	მუხლი 3(1)	მუხლი 4(1)
—	—	მუხლი 3(2)	მუხლი 4(2)
—	—	მუხლი 7(1)	მუხლი 4(3)
—	—	მუხლი 5, შესავალი ფრაზა	მუხლი 5(1), შესავალი ფრაზა
—	—	მუხლი 5(1)	მუხლი 5(1)(a)
—	—	მუხლი 5(2)	მუხლი 5(1)(b)
—	—	მუხლი 6, პირველი პუნქტი	მუხლი 5(2), პირველი აბზაცი
—	—	მუხლი 6, მეორე პუნქტი	მუხლი 5(2), მეორე აბზაცი
—	—	მუხლი 9(1), პირველი აბზაცი	მუხლი 6
—	—	მუხლი 8(1)	მუხლი 7(1), პირველი აბზაცი
—	—	მუხლი 16(6)	მუხლი 7(1), მეორე აბზაცი
—	—	მუხლი 8(2), (3) და (4)	მუხლი 7(2), (3) და (4)
—	—	მუხლი 16(1)-(5)	მუხლი 8(1)-(5)
—	—	მუხლი 16(7)	მუხლი 8(6)
მუხლი 1	—	—	მუხლი 9
მუხლი 2(1) და (2)	—	—	მუხლი 10(1) და (2)
მუხლი 2(3)	—	—	—
მუხლი 2(4)	—	—	მუხლი 10(3)
მუხლი 2a	—	—	მუხლი 11

მუხლი 3(1)	—	—	—
მუხლი 3(2)	—	—	მუხლი 12(1)
მუხლი 3(3)	—	—	—
მუხლი 3(4)	—	—	მუხლი 12(2)
—	მუხლი 1	—	მუხლი 13
—	მუხლი 2	—	—
—	მუხლი 3(1), პირველი და მეორე აბზაცები	—	მუხლი 14(1)
—	მუხლი 3(1), მესამე აბზაცი, შესავალი წინადადება	—	მუხლი 14(2), პირველი აბზაცი, შესავალი წინადადება
—	მუხლი 3(1), მესამე აბზაცი, პირველი, მეორე და მესამე აბზაცები	—	—
—	მუხლი 3(1), მეოთხე და მეხუთე აბზაცები	—	—
—	მუხლი 3(1), მეექვსე აბზაცი, შესავალი წინადადება	—	—
—	მუხლი 3(1), მეექვსე აბზაცი, პუნქტები (a), (b) და (c)	—	მუხლი 14(2), პირველი აბზაცი, პუნქტები (a), (b) და (c)
—	მუხლი 3(1), მეშვიდე აბზაცი	—	—
—	მუხლი 3(1), მერვე აბზაცი	—	—
—	მუხლი 3(1), მეცხრე აბზაცი	—	მუხლი 14(2), მეორე აბზაცი
—	მუხლი 3(1), მეათე აბზაცი	—	მუხლი 14(2), მესამე აბზაცი
—	მუხლი 3(1), მეთერთმეტე აბზაცი	—	მუხლი 14(2), მეოთხე აბზაცი
—	მუხლი 3(1), მეთორმეტე აბზაცი	—	მუხლი 14(2), მეხუთე აბზაცი
—	მუხლი 3(1), მეცამეტე აბზაცი	—	მუხლი 14(2), მეექვსე აბზაცი
—	მუხლი 3(1), მეთოთხმეტე აბზაცი	—	—
—	მუხლი 3(2)	—	მუხლი 14(3)
—	მუხლი 3(3)	—	—
—	მუხლი 3(4)	—	მუხლი 14(4)
—	—	მუხლი 9(1), მეორე აბზაცი	მუხლი 15(1), პირველი აბზაცი

—	—	მუხლი 9(1), მესამე აბზაცი	მუხლი 15(1), მეორე აბზაცი
—	—	მუხლი 9(2), პირველი წინადადება	მუხლი 15(2), პირველი აბზაცი
—	—	მუხლი 9(2), მეორე წინადადება	მუხლი 15(2), მეორე აბზაცი
—	—	მუხლი 10	მუხლი 16
—	—	მუხლი 11	მუხლი 17
—	—	მუხლი 12	—
—	—	მუხლი 13	—
—	—	მუხლი 14	—
—	—	მუხლი 15	—
მუხლი 2(5)	მუხლი 5(1)	—	მუხლი 18(1)
მუხლი 2(6)	მუხლი 5(2)	—	მუხლი 18(2)
მუხლი 4	მუხლი 4	—	მუხლი 19
მუხლი 5(1)	მუხლი 6(1)	—	—
მუხლი 5(2)	მუხლი 6(2)	მუხლი 18	მუხლი 20
—	—	მუხლი 19(1)	მუხლი 21, პირველი აბზაცი
—	—	მუხლი 19(2)	მუხლი 21, მეორე აბზაცი
—	—	მუხლი 20	მუხლი 22
მუხლი 6	მუხლი 7	მუხლი 21	მუხლი 23
—	—	დანართი I	—
—	—	დანართი II	—
—	—	—	დანართი I
—	—	—	დანართი III

[1]ოფიციალური ჟურნალი L 316, 31.10.1992, გვ. 8.

[2]ოფიციალური ჟურნალი L 316, 31.10.1992, გვ. 10.

[3]ოფიციალური ჟურნალი L 291, 6.12.1995, გვ. 40.

[4] იხ. დანართი I-ის A ნაწილი.

[5]ოფიციალური ჟურნალი L 9, 14.01.2009, გვ. 12.

[6]დირექტივის 2002/10/EC მე-4(1) მუხლში მოცემული მონაცემებიდან გამონაკლისის სახით:

a. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა უფლებამოსილია, აამოქმედოს ის დებულებები, რომლებიც

აუცილებელია დირექტივის 2002/10/EC მე-3(1) მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს 2008 წლის 1 იანვრისა;

b. ესპანეთის სამეფო და საბერძნეთის რესპუბლიკა უფლებამოსილნი არიან, აამოქმედონ ის დებულებები, რომლებიც აუცილებელია დირექტივის 2002/10/EC მუხლ 1(1)-თან (დირექტივის 92/79/EEC მუხლი 2(1)-ის მეორე წინადადებასთან დაკავშირებით) შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, არაუგვიანეს 2008 წლის 1 იანვრისა.